პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 18 (508) ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 1952 წ. ფასი 30 კაპ

# ვემზადოთ სპორტული ზაფხულისათვის

არაჩვეულებრივი ზამთარი დგას წელს საქართველოში. წყნარი, თბილი ამინდი რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ღია ცის ქვეშ ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის შესანიშნავ პირობებს უქმნის. ჩვენი მძლეოსნები, ფეხბურთელები, კალათბურთელები, ველომარბიელნი, ფრენბურთელები, ჩოგბურთელები და სპორტის სხვა სახეთა წარმომადგენლები სერიოზულ სამზადისს ეწევიან სპორტული ზაფხულის ღირსეულად შეხვედრისათვის.

გაივლის სულ რაღაც ორიოდე თვე და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე აღიმართება სპორტული ზაფხულის ალამი, სპორტული ზაფხულისა, რომელმაც ახალი დიდი გამარჯვებები უნდა ჩაწეროს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიაში.

ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოების, უწყებების, აგრეთვე ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების წინაშე უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული სპორტული ზაფხულისათვის მზადების საქმეში.

— სპორტულ ზაფხულს — ყოველმხრივ მომზადებული შეხვედრა! აი, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ამჟამად ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ყოველდღიური საქმიანობის ცენტრში უნდა მოვაქციოთ.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზაფხულის სპორტული სეზონის წარმატებით ჩატარება უშუალოდაა დამოკიდებული მოსამზადებელ სამუშაოსთან, რომ რაც უფრო დროულად, ხარისხოვნად და სრულად მოვემზადებით მოახლოებული სეზონისათვის, მით უფრო მაღალი იქნება სპორტული ზაფხულის შედეგები, როგორც ფიზიკური კულტურის შემდგომი მასობრივობის, ისე ტექნიკური მაჩვენებლების ამაღლების მხრივ.

ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ ზაფხულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი და ადრეა მოსამზადებელი მუშაობის გაშლა. ეს შეხედულება თავიდან ბოლომდე მცდარი და მავნეა; იგი გამომდინარეობს ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაციის უსისტემო მუშაობის პრაქტიკიდან, იერიშობანის მეთოდებიდან და ცხადია, ძალზე სავალალო შედეგებს მოიტანს.

**ზაფხულის სპორტული სეზონისათვის მოსამზადებელი მუშაობა ამთავითვე რაც შეიძლება ფართოდ უნდა გაიშალოს!** გასაკეთებელი ძალზე ბევრია და მხოლოდ ძალთა და საშუალებათა მაქსიმალური გამოყენებით, საზოგადოებრივი აქტივის ქმედითი დახმარებით, გეგმიანი მუშაობით გახდება შესაძლებელი ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის დროულად და კარგად გადაწყვეტა.

ამ საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი უბანია **სპორტული ბაზების** დროული რემონტი და კეთილმოწყობა. პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უმოკლეს ვადაში უნდა გამოჰყონ ავტორიტეტული ბრიგადები, რომლებიც შეამოწმებენ ბაზების მდგომარეობას, მათი რემონტის მიმდინარეობას და სხვ.

რედაქციაში შემოსულია სიგნალები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სამტრედია, საჩხერე, ხაშური, თეთრი წყარო და სხვ.) სათანადო ყურადღებას არ იჩენენ ბაზების შეკეთებისათვის.

სპორტული ბაზების შეკეთება და კეთილმოწყობა საკმაოდ ტევადი, რთული საქმეა. მხოლოდ უპასუხისმგებლობით, ბაზების როლის შეუფასებლობით შეიძლება აიხსნას ის, რომ ფიზკულტურის მთელ რიგ კომიტეტებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ სარემონტო სამუშაოები.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე **სპორტული ინვენტარის** შეკეთებას. ფიზკულტურის კომიტეტებმა, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოებმა, უწყებებმა ახლავე უნდა იზრუნონ, რათა კოლექტივები, სექციები და სხვ. უზრუნველჰყონ ხარისხოვანი სპორტული ინვენტარით. იქ, სადაც ინვენტარი აკლიათ, იგი ახლავე უნდა შეიძინონ, შეავსონ. ფიზკულტურის კომიტეტებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ თავიანთი ფუნქციები სახელმწიფოებრივი კონტროლისა და ხელმძღვანელობის დარგში და მიაღწიონ იმას, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა ამთავითვე გააჩაღონ ფართო ვაჭრობა სპორტინვენტარით.

ამავე დროს, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრან ინვენტარის გამოშვებას „დინამოსა“ და „სპარტაკის“ სპეციალური საწარმოები, რომლებიც ხშირად უხარისხო პროდუქციას უშვებენ.

სპორტული ზაფხულისათვის მზადებისას თვალსაჩინო ყურადღებას საჭიროებენ **საზოგადოებრივი კადრები**, რომელთა როლი მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის დარგში დაუფასებელია.

პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მოაწყონ თავიანთი საზოგადოებრივი აქტივის — ინსტრუქტორების, ფიზორგების, ფიზკულტურის კოლექტივების თავმჯდომარეების, მწვრთნელების, მსაჯების მოსამზადებელი და გადასამზადებელი სემინარები.

ზაფხულის სეზონისათვის მოსამზადებელ საქმიანობაში დიდი როლი უნდა ითამაშონ ფიზკულტურის კომიტეტებთან არსებულმა **სპორტულმა სექციებმა**. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოწოდებული არიან ჩაატარონ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი მუშაობა.

ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოებმა ახლავე უნდა განიხილონ სპორტული ზაფხულისათვის მზადების საკითხი და დასახონ კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებანი ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების სწრაფი აღმოფხვრისათვის.

☆

## ქართველ ფრენბურთელთა წარმატება

სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სამინისტრომ და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ნაუკის“ ცენტრალურმა საბჭომ სტუდენტთა არდადეგების პერიოდში დნეპროპეტროვსკში მოაწყეს პირველობის გათამაშება ფრენბურთში.

ამ ასპარეზობაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა საქართველოს „ნაუკის“ ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც მოიგო ყველა მატჩი და დაიკავა პირველი ადგილი.

# „ისკრის“ გამარჯვება

## საქართველოს XVII პირველობა სათხილამურო სპორტში

**ბაკურიანი.** (ჩვენი სპეც. კორ.). ორჭიდელებს ბედმა გაუღიმა — 3 დღის განუწყვეტელი თოვის შემდეგ ცამ მოულოდნელად გადაიყარა ღრუბლები და მზემ უხვად მიმოაფრქვია სხივები. ნათხილამურევზე სვლა შედარებით გაიოლდა, შესაძლებელი გახდა საცხის შერჩევაც.

ორჭიდელთა ასპარეზობამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრება დაიწყო 18 კილომეტრზე რბენით. საუკეთესო დრო აჩვენა ახალქალაქელმა ნ. ლობანიცინმა — 1.23:45 (240 ქულა).

კარგად გაიარა მანძილი გ. მარგიანმა („ისკრა“) — 1.34:07 (236,2 ქულა). სათხილამურო სპორტის ამ ურთულესი სახის პირველობის ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა ა. ადამიანცმა („ისკრა“) დაიკავა მე-4 ადგილი — 1.35:38 (231,4 ქულა).

მეორე დღეს ორჭიდელები ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 3 ნახტომიდან ჩათვლაში შედიოდა 2 საუკეთესო შედეგი.

ხტომის მაღალი კლასი გამოამჟღავნა ზ. თვაურმა („კოლმეურნე“), რომელმაც დააგროვა 211 ქულა. იგი გადახტა 43 და 45 მეტრზე. მომდევნო ადგილები აიღეს კ. წაქაძემ (პირადი ჩათვლა) — 202,7 ქულა, ა. ადამიანცმა — 195,1 და სხვ.

საბოლოოდ, ორჭიდში გაიმარჯვა ადამიანცმა (426,5 ქულა).

ამ დღეს შედგა აგრეთვე ქალთა რბენა 5 კილომეტრზე. დინამოელმა ვ. დიაკონაშვილმა კვლავ დაამტკიცა, რომ იგი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მორბენალია. მან პირველი ადგილი დაიკავა შედეგით 28:28. გამარჯვებულის თანაკლუბელმა ვ. კაკიაშვილმა აჩვენა 29:15. შემდეგ იყვნენ თ. დიაკონაშვილი („კოლმეურნე“) — 29:20, ა. რეკუნოვა (აჭარა) — 30:02, ნ. ბორჩხაძე („ისკრა“) — 32:39.

9 თებერვალს ამინდი კვლავ გაფუჭდა. დილიდან მოიღრუბლა და მერე ისეთი თოვა დაიწყო, როგორიც კარგა ხანია არ ყოფილა ბაკურიანში. ისე ბარაქიანად ბარდნიდა, რომ ხედვა ჭირდა. ამ დღეს ჩატარდა სწრაფდაშვება. თავბრუდამხვევი სისწრაფით მქროლავი მეთხილამურე მხოლოდ ორ-სამ ნაბიჯზე ხედავდა ტრასას, თოვლი მწვავედ სცემდა სახეში...

მიუხედავად ასეთი ძნელი პირობებისა, მეთხილამურეებმა მაღალი ოსტატობა და კარგი ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნეს. პირველი ადგილი დაიკავა ვ. კოზანაშვილმა („ისკრა“) — 1:05,5, მეორე — ა. ადამიანცმა — 1:13,3, მესამე — ზ. კონსტანტინოვმა („ისკრა“) — 1:22,4.

ქალთა შორის უძლიერესი იყო ჯ. ყოროშვილი (უნივერსიტეტი)—42,4, მეორე ადგილი მოიპოვა ვ. დიაკონაშვილმა (44,3), მესამე — ლ. ღოღობერიძემ (უნივერსიტეტი) — 46,9.

საყოველთაო ინტერესი გამოიწვია პირველობის მეექვსე დღემ. სტარტზე იყვნენ სათხილამურო მარათონის — 50 და 30 კილომეტრზე რბენის მონაწილეები; ქალები კი ასპარეზობდნენ 10 კილომეტრზე რბენაში.

მეთხილამურეებს სტარტი ეძლეოდათ ყოველ 30 წამში. მსუბუქ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი სპორტსმენები ზედიზედ მიდიოდნენ სტარტიდან „შორეულ მგზავრობაში“. პირველ წრეზე დაწინაურდნენ გ. კვინიკაძე („კოლმეურნე“), ი. მიხაილიცკი (აჭარა) და ვ. დმიტრიევი (ახალქალაქი), რომლებიც მნიშვნელოვნად მოსწყდნენ დანარჩენებს.

წინ წასულთ ენერგიულად მიჰყვა სტარტიდან კარგა ხნის შემდეგ გაშვებული ს. პეტროსიანი („ისკრა“).



**სურათზე:** 18 კილომეტრზე რბენის ტრასაზე. წინა პლანზეა შ. დიაკონაშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

* * *

სტარტთან მოეწყო საკვები პუნქტი, სადაც მარათონელებისთვის იყო ცხელი კაკაო, ლიმონის წყალი, ცხელი ბულიონი და სხვ. მეთხილამურეები ყოველი წრის შემდეგ თხოულობდნენ საჭირო საკვებს და შეუჩერებლივ „შეექცეოდნენ“ მას. მხოლოდ პეტროსიანს არ მოუთხოვია გზაში საკვები, იგი შეუფერხებლად მიარღვევდა სივრცეს და ლიდერთა ჯგუფში მოხვედრისათვის იბრძოდა.

მიხაილიცკიმ და დმიტრიევმა 30-ე კილომეტრზე შეწყვიტეს რბენა (ეს დისტანცია II ჯგუფის ჩათვლით პროგრამაში შედიოდა). პირველმა აჩვენა 2.16:32, მეორემ — 2.23:31. მესამე ადგილი დაიკავა ბაკურიანელმა ვ. კოზანაშვილმა — 2.24:57.

განსაკუთრებით დაძაბული და საინტერესო იყო 50 კილომეტრზე მორბენალთა ფინიში. ხაზთან ჯერ მიიჭრა კვინიკაძე და წამზომებმა აჩვენეს 4.15:08, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გამოჩნდა პეტროსიანიც, რომლის დრო 4.13:49 [illegible] გამოჩნდა. მესამე იყო [illegible] („დინამო“) — 4.27.5[illegible].

ქალთა რბენაში 10 კილომეტრზე უძლიერესის სახელი მოიპოვა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა თ. დიაკონაშვილმა, რომელმაც აჩვენა 52:19. დინამოელებს ვ. კაკიაშვილსა და ვ. დიაკონაშვილს შესაბამისად ჰქონდათ 53:42 და 53:58.

ამ დღეს ნაჩვენები იქნა 2 პირველი თანრიგის, 13 მეორე და 17 მესამე თანრიგის შედეგები.

პირველობის უკანასკნელ დღეს, 11 თებერვალს გაიმართა ხტომები 45 და 70 მეტრიან ტრამპლინიდან. „ჰაერის მეთხილამურეთა“ ასპარეზობის საცქერლად ტრამპლინისკენ მრავალრიცხოვანი მაყურებელი გაემართა.

სპორტსმენები პირველად ხტებოდნენ 45-მეტრიან ტრამპლინიდან. ორჯერ გაისმოდა ზარის ხმა, ნიშანი იმისა, რომ მეთხილამურე უკვე დაეშვა, რომელიც საშინელი სისწრაფით მქროლი, წამით იმალებოდა არეკლის მაგიდასთან და შემდეგ მკლავგაშლილი, ჰაერში „მავალი“ გამოჩნდებოდა. ძლიერი ქარი მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს სპორტსმენებს წონასწორობის შენარჩუნებაში, მაგრამ მოხტუნავენი კარგად იცავდნენ შესაფერის დგომს და უხიფათოდ ეშვებოდნენ დაბლა.

შესანიშნავი მომზადება აჩვენა ბაკურიანელმა კ. წაქაძემ, რომელიც ორ ცდაში გადახტა 38 და 42 მეტრზე და მიიღო 205,0 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ა. ადამიანცი — 203,5 ქულა (42 და 37), მესამეზე — გ. მარგიანი — 154,6.

70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში მონაწილეობდნენ კ. წაქაძე, ა. ადამიანცი და ზ. თვაური. ახლადდატკეპნილი, ფხვიერი თოვლი არ იძლეოდა საკმაო სისწრაფის განვითარების საშუალებას და ამიტომ ნახტომის სიგრძე არ იყო ამ ტრამპლინისათვის შესაფერისი.

გამარჯვება აქაც წაქაძემ მოიპოვა, მეორე ადგილი დაიკავა თვაურმა.

შვიდი დღის დაძაბული ბრძოლა დამთავრდა. I ჯგუფში გამარჯვება მოიპოვა „ისკრის“ კოლექტივმა (24,5 საჯარიმო ქულა). მეორე ადგილზე გავიდა „დინამო“ (27,5), მესამეზე—„კოლმეურნე“ (32,0). II ჯგუფში გაიმარჯვა ახალქალაქის კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე არიან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამედიცინო ინსტიტუტის, აჭარის, ახალციხის, სამხრეთ ოსეთისა და უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდები.



**სურათზე:** ახალქალაქელი მეთხილამურე ვ. დმიტრიევი შეჯიბრებისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა

აღსანიშნავია, რომ პირველობა მეტად არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა. ხშირი თოვლცვენა და ქარი ნამქერით ავსებდა ნათხილამურევს და ძლიერ აბრკოლებდა მოძრაობას. მიუხედავად ამისა, სპორტსმენებმა გამოავლინეს მაღალი ფიზიკური მომზადება.

შეჯიბრება ორგანიზებულად მოეწყო. კარგად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი კ. ასტახიშვილი).

**გ. ქორქია**

# 6 ქალაქის შეხვედრა კალათბურთში

**გორი.** (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო რესპუბლიკის 6 ქალაქის კალათბურთელთა ტრადიციული მატჩი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთისა და გორის ვაჟთა და თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის ქალთა კოლექტივები.

...გორის პედინსტიტუტის სპორტული დარბაზი მორთულია სპორტსაზოგადოებათა ალმებით, პლაკატებით. ფიზკულტურული მარშის ხმაზე იწყება სპორტსმენთა პარადი. შეჯიბრების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ქვანჭახაძე.

შეჯიბრება დაიწყო. მსაჯების ლ. ფალავანდიშვილისა და ვ. ჯაფარიძის სასტვენის ხმაზე მოედანზე პირველად გამოდიან ფოთისა და ბათუმის ვაჟთა გუნდები.

თამაშის პირველი წუთები მიმდინარეობს ცვალებადი უპირატესობით, მაგრამ ინიციატივა ნელნელა გადადის ბათუმელთა მხარეს. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ბათუმელების ბასილაძისა და ნოსნიკოვის გააზრებული თამაში. მათ არა ერთი ქულა შესძინეს გუნდს. შეხვედრა მთავრდება ანგარიშით 64:24 ბათუმის კალათბურთელთა სასარგებლოდ.

სოხუმის ქალთა გუნდმა ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა ქუთაისელ კალათბურთელებს და შეხვედრა წააგო ანგარიშით 3:63. აღსანიშნავია, რომ სოხუმმა ამ შეჯიბრებაზე რატომღაც არ ჩამოიყვანა ქალაქის არც ერთი ძლიერი მოთამაშე.

მოუთმენლად ელოდნენ გორელები თბილისის და სოხუმის ვაჟთა გუნდების შეხვედრას. თბილისის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ლ. ინწკირველი, გ. ბახტურიძე, ო. სულაბერიძე, გ. აბაშიძე, მ. ეგანოვი, თ. მეძმარიაშვილი და სხვ. შეხვედრა აღინიშნა თბილისელთა აშკარა უპირატესობით; მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 107:26.

შეჯიბრების პირველ დღეს თბილისის ქალთა გუნდმა დაამარცხა ბათუმის კოლექტივი — 78:18, ხოლო ქუთაისის ვაჟთა კოლექტივმა—გორის გუნდი (76:47).

შეჯიბრება გრძელდება.

# ცვლილებები ცურვის შეჯიბრების წესებში

ბრასის სტილით ცურვაში ტექნიკური შედეგების გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა შეიტანა ცვლილებები ცურვის შეჯიბრების წესებში, რომლებიც ძალაში შევიდა ა. წ. 1 თებერვლიდან.

ბრასისა და ბატერფლაის სტილით ცურვა გაერთიანდა ერთ სტილში — ბრასში. არსებული საკავშირო რეკორდები ბრასისა და ბატერფლაის სტილით ცურვაში გაუქმდა.

საკავშირო რეკორდებად ბრასის სტილით ცურვაში დამტკიცდა: ქალები: 100 მ. — 1:20,5, — მ. გავრიში (კიევი, 1950 წ.); 200 მ — 2:59,3— მ. გავრიში (კიევი, 1951 წ.); ვაჟები: 100 მ. — 1:05,1 — ლ. მეშკოვი (მოსკოვი, 1946 წ.); 200 მ. — 2:35,2 ლ. მეშკოვი (მოსკოვი, 1951 წ.). 15-16 წლის გოგონები: 100 მ. — — 1:28,2 — ტ. მედვედევა (ლენინგრადი, 1951 წ.); 200 მ. — 3:09,9 — ტ. ვარფოლომეევა (მოსკოვი, 1951 წ.). 15-16 წლის ჭაბუკები: 100 მ. — 1:14,2 — ა. ტიპინი (ლენინგრადი, 1951 წ.); 200 მ. — 2:50,7 — ლ. მაკარენკო (მოსკოვი, 1951 წ.).

## ცვლილებები 1951 წელს გამოცემულ ცურვის შეჯიბრების წესებში

**§ 22. ბრასის სტილით ცურვა.**

ფეხის ტერფები ერთნაირ სიღრმეზეა. ბრასის სტილით ცურვასთან ერთად დაიშვება ცურვა ბატერფლაის სტილით, რომლის დროსაც მოცურავის ტანისა და თავის მდგომარეობა და ფეხების მოძრაობა ბრასის სტილით ცურვის ანალოგიურია.

ხელების მოძრაობა წარმოებს ერთდროულად და სიმეტრიულად, მოსმის მიმართულებაა — ზევიდან ქვევით. შემდეგი მოსმისათვის ხელები უნდა ამოვიდეს წყლის ზედაპირზე.

სტარტისა და მოხვევის შემდეგ ბატერფლაის სტილით მოცურავე წყლის ქვეშ ვერ გააკეთებს ისეთსავე მოძრაობას, როგორც ბრასის სტილით ცურვის დროს. ამ შემთხვევაში ხელის წინ გატანის პირველი მოძრაობა უნდა შესრულდეს წყლის ზევით.

დისტანციაზე სტილის გამოცვლა, ე. ი. ხან ბატერფლაით, ხან ბრასით ცურვა არ დაიშვება.

წესების 23-ე პარაგრაფი სრულიად გამოირიცხება.

—◎—

## საქმეს არაფერი არ ეშველა

**ბათუმის რაიონი. (ჩვენი საკ. კორ.).** სოფელ ფერიის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა პირობა არსებობს მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო არტელის ძირეული კოლექტივის საბჭო აშკარა უმოქმედობას იჩენს.

საკოლმეურნეო ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ტაკიძე თავს არ იწუხებს მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმების შესასრულებლად. გასულ წელს კოლმეურნეობაში არც ერთი ნიშნოსანი არ მომზადებულა, ხოლო თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მოუწესრიგებელია სექციების მუშაობაც, ან სად უნდა იმეცადინონ მათ, როდესაც კოლმეურნეობას სპორტბაზა არა აქვს.

კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მიიღო გადაწყვეტილება სპორტული მოედნის მოწყობის შესახებ, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი არ ეშველა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „კოლმეურნის“ რაიონული საბჭო არავითარ დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივს.

—◎—

## მოსწავლეთა შეხვედრა სპორტის ოსტატებთან

9 თებერვალს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ბერიას სახელობის რაიონის სკოლების მოსწავლე მძლეოსანთა შეხვედრა სპორტის დამსახურებულ ოსტატებთან ნ. დუმბაძესთან, ე. გოკიელთან და სპორტის ოსტატ ლ. სანაძესთან.

## წყლის მოედანზე

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ექვსი უძლიერესი წყალბურთელთა გუნდის ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც ორ წრედ ჩატარდა. 10-დღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი და გარდამავალი ჯილდო მოიპოვა სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდმა.

ასპარეზობაში წარმატება ხვდა წილად თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა ახალგაზრდა კოლექტივს. თბილისელებმა ორივე წრეში დაამარცხეს თავიანთი მოსკოველი თანაკლუბელები (6:5 და 8:6) და სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ცდსა-ს კოლექტივს.

კარგი მომზადება გამოამჟღავნეს თავდამსხმელმა ნ. გვახარიამ, მცველებმა კ. ოვანესიანმა, ნ. კრილოვმა და მეკარე რ. გუგუშვილმა.




**სურათზე:** თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდი.

ფოტო ნ. ვოლკოვისა.

### მძლეოსანთა დასახმარებლად

# მარათონელის წვრთნა ზამთარში

გასულ სპორტულ სეზონში საქართველოს მძლეოსნებმა გრძელ მანძილებზე რბენაში (20 და 30 კმ.) თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს; გაიზარდა ასპარეზობაში მონაწილეთა რიცხვი და მათი სპორტულ-ტექნიკური მომზადების დონე.

ეს მიღწევები შედეგია რესპუბლიკის მძლეოსანთა სრულწლიური წვრთნისა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთად ითვლება ზამთრის პერიოდი (დეკემბერი—მარტი)— ამ დროს ჩატარებული საწვრთნელი მუშაობა.

ზამთრის პერიოდში სპორტსმენმა უნდა იმუშაოს საერთო ფიზიკურ მომზადებაზე, ძალის, ამტანობისა და სისწრაფის გამომუშავებაზე. მეცადინეობა უნდა მოეწყოს სპორტულ დარბაზში (კვირაში ორჯერ 1,5 საათის ხანგრძლივობით) და ღია ცის ქვეშ (კვირაში ერთხელ).

ყოველკვირეული მეცადინეობებიდან ერთი საწვრთნელი ვარჯიში უნდა დაეთმოს სისწრაფის გამომუშავებას, მეორე — ამტანობისა და გამძლეობის გამომუშავებას, მესამე — საერთო ფიზიკურ მომზადებას.

საერთო ფიზიკური მომზადებისათვის განკუთვნილი მეცადინეობის საილუსტრაციო გეგმა ასეთია:

რბენა ნელი ტემპით — 3-5 წუთის განმავლობაში; ვარჯიშები ძალაზე, მოქნილობაზე, მოძრაობის კოორდინაციაზე — 15-20 წუთი; საერთო განმავითარებელი ვარჯიშები სატანვარჯიშო იარაღებზე, სახტუნებელით, ორბირთვებით, დატენილი ბურთებით, სიმძიმეების აწევა — 40-50 წუთი.

მეცადინეობის ამ ნაწილში ზოგჯერ სპორტულ თამაშობათა ელემენტების შეტანაა საჭირო (კალათბურთი, ფრენბურთი) წვრთნის ბოლო ეტაპია ნელი ტემპით სირბილი 10-15 წუთის განმავლობაში და დამამშვიდებელი ვარჯიში.

საერთო განმავითარებელი ვარჯიშების მიზანია ის, რომ გრძელ მანძილებზე მორბენალს არა მარტო ქვედა კიდურები გავუხადოთ ძლიერი, არამედ ზედა სარტყელიც. მორბენალის წვრთნა არ იქნება სრულყოფილი თუ არ ვიზრუნეთ მისი ხელების, ზურგისა და მუცლის კუნთების განვითარებაზე წინააღმდეგ შემთხვევაში მორბენალი ჩქარა დაიღლება, ვერ აიტანს რბენის დაძაბულობას.

სპორტსმენს ვარჯიშისას უნდა ეცვას თბილად, მაგრამ მსუბუქად.

გამძლეობის გამომუშავება ხდება სიარულით და რბენით (იხ. სქემა).

ღია ცის ქვეშ სიარულისათვის უკეთესია შარაგზა, რბენისათვის კი ტყიანი ადგილები და ბაღები.

სიარული — პირველ ორ თვეს გრძელდება 1-1,5 საათს და შემდეგ იზრდება 3-4 საათამდე (ტემპი 140-160 ნაბიჯი წუთში); ვარჯიში მთავრდება რბენით 1-3 კილომეტრზე.




რბენა ტარდება 5-20 კილომეტრზე ტემპით 19-21 წუთი ყოველ 5 კილომეტრზე. რბენის დროს სასურველია 2-3-ჯერ აჩქარება 200-300 მეტრის მანძილზე და უკანასკნელი 300-500 მეტრის აჩქარებით გარბენა.

სიარულის და რბენის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი და რითმული სუნთქვის გამომუშავებას, აგრეთვე იდაყვის სახსარში მოხრილი ხელების თავისუფალ, დაუძაბავ მოძრაობას.

სსრ კავშირის რეკორდსმენი მარათონულ რბენაში (2.29:09,4) ფ. ვანინი საზამთრო ვარჯიშის პერიოდში მთავარ მნიშვნელობას რბენას აკუთვნებს. ეს ნათლად ჩანს მის საწვრთნელ გეგმაში, რომელიც ქვემოთ მოგვყავს:

**დეკემბერი.** სამშაბათი და ხუთშაბათი — წვრთნა სპორტდარბაზში; კვირა — სიარული და ნელი რბენა 10.000 მეტრზე.

**იანვარი.** სამშაბათი და ხუთშაბათი — წვრთნა სპორტდარბაზში; კვირა— კროსი 1,5 საათის განმავლობაში.

**თებერვალი.** სამშაბათი— წვრთნა ღია ცის ქვეშ. ნელი რბენა 1,5 საათის განმავლობაში, სიჩქარით 1.000 მეტრი 5 წუთში.

**მარტი.** სამშაბათი — წვრთნა ღია ცის ქვეშ, ნელი რბენა და სიარული 20.000 მეტრზე; ხუთშაბათი—წვრთნა სპორტდარბაზში; კვირა — სიარული და ნელი რბენა 1,5 საათის განმავლობაში.

ამ ხნის განმავლობაში, კვირაში 4 დღეს (ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი და შაბათი) სპორტსმენი ისვენებს.

მეცადინეობის განრიგი თვეების მიხედვით ასეთია:

| თვე | კილომეტრაჟი | | მეცადინეობათა რაოდენობა კვირაში და მათი ჩატარების ადგილი |
|---|---|---|---|
| | სიარული | რბენა | |
| დეკემბერი . | 30 | 80 | ორი მეცადინეობა შენობაში და ერთი—ღია ცის ქვეშ |
| იანვარი . . | 40 | 100 | ორი მეცადინეობა შენობაში და ერთი—ღია ცის ქვეშ |
| თებერვალი . | 50 | 120 | ორი მეცადინეობა ღია ცის ქვეშ, ერთი—შენობაში |
| მარტი . . . | 70 | 120 | ორი მეცადინეობა ღია ცის ქვეშ, ერთი—შენობაში |

ასეთი გეგმით მეცადინეობისას დიდი მნიშვნელობა აქვს რეჟიმის დაცვას. ძილს უნდა დაეთმოს 8-9 საათი. სავალდებულოა დილის ყოველდღიური გამამხნევებელი ვარჯიშები.

სპორტსმენი მუდმივი საექიმო კონტროლის ქვეშ უნდა იყოს. სპორტსმენისათვის სავალდებულოა საწვრთნელი მეცადინეობის დღიურის წარმოება, სადაც აღინიშნება თვითკონტროლისა და საექიმო გასინჯვის მონაცემები, წვრთნის შინაარსი და შედეგი.

**ლ. ბიძურბაძე,**
**მძლეოსნობის მწვრთნელი.**

# საბავშვო სახლში

**თეთრი წყარო.** სოფ. ვაშლოვანის საბავშვო სახლში, რომელშიც 300 ბავშვია, სათანადო ყურადღება ექცევა ფიზიკურ კულტურას. ფიზკულტურის მასწავლებელი ე. წიკლაური მონდომებით ზრუნავს, რათა სამშობლოს აღუზარდოს ფიზიკურად და მორალურად ძლიერი მომავალი თაობა. საბავშვო სახლში შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციები, რომლებშიც ყველა ბავშვია ჩაბმული. აქ ხშირად ეწყობა სხვადასხვა შეჯიბრებები.

**ვ. დვალი**

### ჩვენ გვწერენ

## საჭიროა მონდომება

თბილისის გარეუბნის რაიონის ორთაჭალის ფ. [illegible] სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის ახალგაზრდობას ენერგიული შრომით თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. შრომასთან ერთად კოლმეურნე ახალგაზრდებს სპორტიც უყვართ, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ამხ. გ. კორეულიშვილი) გულგრილად უყურებს და მხარს არ უჭერს ფიზიკური კულტურისადმი მათ მისწრაფებას. კოლმეურნეობაში არ არის შექმნილი არც ერთი სპორტული სექცია, არა აქვთ სათანადო ინვენტარი.

კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც სამი წლის მანძილზე რაიონში მუდამ საპრიზო ადგილს იკავებდა, 1951 წელს რატომღაც დაიშალა.

კოლმეურნეობის კანტორის მახლობლად არსებობს ფრენბურთის მოედანი, მაგრამ იგი უვარგისია, რადგან აქ გუბდება ონკანიდან დაღვრილი წყალი. ამ მოედანზე მეცადინეობა შეუძლებელია იმიტომაც, რომ მას აკრავს საჯინიბო და მეფრინველეობის ფერმა.

საჭიროა კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭომ უფრო მეტი მონდომება გამოიჩინოს მუშაობაში. მას სათანადო დახმარება უნდა გაუწიოს „კოლმეურნის“ რაიონულმა საბჭომ.

**ო. გელაშვილი,**
**ა. ქაჯაია.**
თბილისის გარეუბნის რაიონი.

## რატომ არ ექცევა ყურადღება შაშს?

ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს საშაშო სპორტი. საკავშირო სპორტული კალენდარი ყოველწლიურად ითვალისწინებს მოშაშეთა მრავალ შეჯიბრებას, მაგრამ რატომღაც საქართველოში სპორტის ამ საინტერესო სახეს არ ექცევა სათანადო ყურადღება.

შაშის თამაშის შესწავლის მსურველი ძალიან ბევრია, მაგრამ ისინი მოკლებული არიან სასწავლო-მეთოდურ მასალებს. რატომღაც რესპუბლიკის ახალგაზრდული გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდოი სტალინეცი“, ჟურნალი „პიონერი“ და სპორტული გაზეთი „ლელო“ კი თავიანთ ფურცლებზე არ ათავსებენ საშაშო ამოცანებსა და ეტიუდებს.

ნაკლებ ყურადღებას აქცევს სპორტის ამ სახის განვითარებას საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც. უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში არ გამოსულა არც ერთი წიგნი შაშის შესახებ ქართულ ენაზე. დღემდე არ არის გამოცემული არა თუ სახელმძღვანელო, არამედ თვით შაშის თამაშის წესებიც.

დროა მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**გ. ახალაია**
ჩოხატაურის რაიონი,
სოფელი კოხნარი.

## მოედანი გადახნეს, ინვენტარი არა აქვთ

სოფ. დიდი თონეთის ახალგაზრდობას შორის მრავლად მოიპოვებიან სპორტის მოყვარულნი. მაგრამ მათ არა აქვთ შესაფერისი პირობები ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის. სოფლის ახალგაზრდობის ძალებით აგებული მოედანი, სადაც ერთი ზაფხულის განმავლობაში მეცადინეობდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფიზკულტურელები, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის მითითებით გადაიხნა.

კოლმეურნეობას არა მარტო სპორტული ბაზა, არამედ ინვენტარიც არ გააჩნია.

დიდ თონეთში შესაძლებელია სათხილამურო შეჯიბრებების მოწყობა, მაგრამ კოლმეურნეობის ფიზკულტურელებს ერთი თხილამურიც კი არ გააჩნიათ.

კოლმეურნეობის გამგეობა გულისხმიერებით უნდა მოეპყრას კოლმეურნე ფიზკულტურელებს, შეუქმნას მათ ნაყოფიერი მეცადინეობის საშუალება.

**ვ. გოზალიშვილი**
თეთრი წყაროს რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი

მაყურებლის დღიურიდან

## თბილისის 1952 წლის პირველობა

**8 თებერვალი.** დღეს შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. ყველას აინტერესებდა შეძლებდა თუ არა ელიოზიშვილი ებრალიძესთან შეხვედრაში მატერიალური უპირატესობის რეალიზაციას. მართლაც, ახალგაზრდა მოჭადრაკემ პარტიის ბოლო სტადია მაღალ ტექნიკურ დონეზე ჩაატარა და პირველი დამარცხება მიაყენა ტურნირის ლიდერს.

გაჩეჩილაძეს ძალიან სურდა თაბორიძესთან მოგება. პარტიის გამწვავების მიზნით მან სახიფათო გაგრძელება აირჩია, მაგრამ თაბორიძე კარგად გაერკვა მდგომარეობაში და ლაზიერის ფლანგზე გარღვევით მოიგო პარტია. სამაგიეროდ, გაჩეჩილაძემ წარმატება მოიპოვა სხვა გადადებულ პარტიებში: ადვილად დაამარცხა დავრანიანი და ბლაგიძესთან ყაიმს მიაღწია.

გამრეკელმა, ბლაგიძესთან ყაიმის შემდეგ, ძალზე გაბედულად ითამაშა ალამალიანთან. გამრეკელი არ ერიდებოდა შეწირვებს, მაგრამ ალამალიანმა მუდმივი ქიშით ყაიმი მოიპოვა.

ბლაგიძემ პირველი დამარცხება აგემა არნშტეინს, უკანასკნელმა მოუგო თაბორიძეს.

ძალზე ცუდად ჩაატარა გადადებული პარტია ტუგარინოვმა ბუსლაევთან. მოსაგებ მდგომარეობაში მან შეცდომები დაუშვა და 72-ე სვლაზე იძულებული იყო „ხელები აეწია".

**9 თებერვალი.** XI ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა შეჯიბრების ლიდერების—ებრალიძისა და ბუსლაევის შეხვედრა. ებრალიძის მეფემ დებიუტშივე „ამალის" გარეშე დაიწყო მოურიდებელი სეირნობა. პაიკის შეწირვით ბუსლაევმა ძლიერი იერიში მიიტანა მოხეტიალე მეფეზე. მძიმე მდგომარეობაში ებრალიძემ დაჰკარგა მატერიალური უპირატესობა. პარტია გადაიდო ებრალიძისათვის უიმედო მდგომარეობაში.

თაბორიძე და წოწოლაშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

* * *

**10 თებერვალი.** XII ტურის დაწყების წინ ებრალიძემ ბუსლაევს გუშინდელი პარტია „ჩააბარა".

თამაშის დაწყებიდან 1 საათის შემდეგ (!) სვლების გამეორებით ყაიმზე შეთანხმდნენ ბლაგიძე და წოწოლაშვილი.

ესპანური პარტიის მწვავე ვარიანტში გამრეკელმა კარგად მოუგო ელიოზიშვილს, რომელმაც კრიტიკულ მომენტში თეორიულ გაგრძელებას გადაუხვია და მალე ჩავარდა უიმედო მდგომარეობაში.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ტურნირის ლიდერია ბუსლაევი, რომელსაც აქვს 8 ქულა.

**ნ. იმედაშვილი**

## სწორად ამოხსნეს

გაზეთ „ლელოს" მე-2 ნომერში გამოქვეყნებული გ. ნადარეიშვილის ეტიუდი სწორად ამოხსნეს: გ. ნაფეტვარიძემ (თბილისი), თ. ქაცარავამ (წულუკიძე), კ. ჩხაიძემ (მახარაძე) და გ. ამირხანოვმა (სოფ. ზემო ოსიაური, ხაშურის რაიონი).

ეტიუდის პასუხია: 1. კf5 კ:f5 2. ეh1+კb1 3. მფb6 c5 4. ეg1 c4 5. ეh1 c3 6. ეc1 c2 7. მფb5 b6 8. მფb4 b5 9. მc5 მფb2 10. მd3+ მფa1 11. მფb3 b4 12. ეg1 c1ლ 13. მ:c1 კc2+ 14. მფ:c2 b3+ 15. მ:b3×

* * *

„ლელოს" 16 იანვრის ნომერში მოყვანილი „საინტერესო პოზიცია" სწორად გადაწყვიტეს: შ. კვარაცხელიამ (თბილისი), შ. ღლონტმა (მახარაძე), რ. მეცხვარიშვილმა (სოფ. მერეთი, გორის რაიონი) და ლ. ცხადაიამ (ცხაკაია).

პოზიცია ასე წყდება: 1. ... ეh1+ 2. მფh2 ეh1+ 3. მფ:h1 მg3+ 4. fg ლ:g2+ 5. მფ:g2 პატი.

* * *

„ლოიდის სამ შეკითხვას" („ლელო" № 9) სწორად უპასუხეს: შ. ღლონტმა (მახარაძე), ა. დალაქოვმა (თბილისი), გ. ნიკოლაიშვილმა (სოფ. ჩიბათი, ლანჩხუთის რაიონი), მ. კონწურაშვილმა (ცხაკაია) და თ. კოჭლამაზაშვილმა (სოფ. ქვემო ბოდბე, სიღნაღის რაიონი).

პასუხი ასეთია: შამათის მდგომარეობისას შავი მეფე იქნება e3 უჯრაზე, პაიკისა — h1 უჯრაზე, ხოლო ერთ სვლაში შამათი რომ მიიღოს – a8-ზე.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„ლელოს" რედაქციაში შემოვიდა წერილი იმის შესახებ, რომ ახმეტის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი ნაკლებად ზრუნავს რაიონში ფეხბურთის განვითარებისათვის. წერილი ზომების მისაღებად გაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ახმეტის რაიკომს.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ახმეტის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. შ. როსტომაშვილი გვატყობინებს, კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიონულმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს რაიონში ფეხბურთის განვითარების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

★

**მოსკოვი.** სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" სტადიონის ტერიტორიაზე აიგო მძლეოსნობის საზამთრო მანეჟი, რომლის ფართობია 800 კვადრატული მეტრი. მანეჟს აქვს წრიული 80-მეტრიანი სარბენი ბილიკი. აქ იმეცადინებენ „ბურევესტნიკის" მძლეოსნები და პროფკავშირთა სხვა სპორტული საზოგადოებების წევრები. **სურათზე:** „ბურევესტნიკის" მძლეოსანთა ცენტრალური სექციის მეცადინეობა ახალ მანეჟში.

ფოტო ნ. კულეშოვისა (საკდესი).

★



# სპორტი ინდოეთში

მსოფლიოს სპორტულ რუკაზე— რომ მოვიწადინოთ ასეთი რუკის შედგენა,—ალბათ, ყველაზე უმნიშვნელო ადგილი ერგებოდა ქვეყანას, რომლის ტერიტორია შეადგენს ოთხ მილიონ კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა—სამას მილიონ კაცს.

ინდოეთი, რომლის ნაკუწ-ნაკუწად დანაწილებაში ერთმანეთს ეცილებიან ამერიკისა და ინგლისის გაავთრებული იმპერიალისტები, დღემდე წარმოადგენს მკვეთრი კონტრასტების ქვეყანას.

ჩვენ ვიცით ინდოეთი — ბრიტანეთის იმპერიის დომინიონი, რომელიც განთქმულია თავისი აურაცხელი სიმდიდრით, სასახლეთა საიდუმლოებებით, ფაკირებითა და დაშნის მყლაპავებით. ამ ინდოეთს ინგლისელი კაპიტალისტები უწოდებდნენ საუკეთესო მარგალიტს ინგლისის მეფის გვირგვინში.

მაგრამ ჩვენ ვიცნობთ სასწაულგარეშე ინდოეთსაც — გაძარცულ სიმდიდრეთა ქვეყანას, შიმშილისა და სილატაკის ქვეყანას, რომელიც მთელი ორი საუკუნის მანძილზე გმინავს კოლონიზატორთა უღელ ქვეშ.

თვალისმომჭრელი სილამაზის სასახლეებსა და სახლებში უსაქმურობის გამო სპორტით ირთობენ თავს ქედმაღალი ინგლისელები, თავხედი და გულდაჯერებული ამერიკელები. ისინი თამაშობენ გოლფს, ჩოგბურთს, კრიკეტს, უყვართ იახტით გასეირნება. საღამოობით შეზლონგზე გაშხლართული ამერიკელი სიამოვნებით ეცნობა დელის, კალკუტისა ან ბომბეისაგან საკმაოდ დაშორებულ ნიუიორკში „მედისონ-სკვერ გარდენის" რინგზე კრივში გამართულ სისხლისმღვრელ შეჯიბრებათა დაწვრილებით ამბებს.

სულ სხვანაირად ებმებიან სპორტში ინდოეთის მიწის გაღატაკებული ბატონ-პატრონნი. აუწერელი მძიმე შრომით გადაქანცულ ინდოელთა უმრავლესობა მოკლებულია სპორტში მეცადინეობის საშუალებას. ისინი კი, ვინც ახერხებენ სპორტულ მოედანზე დასასვენებლად ერთი-ორი საათის გამონახვას, ყოველთვის ვერ პოულობენ ამ მოედანს და რომ იპოვონ კიდეც, არა აქვთ ვარჯიშისა და შეჯიბრებებისათვის საჭირო ელემენტარული პირობებიც კი.

შემთხვევითი როდია, რომ ინდოელი ფეხბურთელები ფეხშიშველა თამაშობენ. ამ „თავისებურებას" ბურჟუაზიული სპორტული მიმომხილველები ასაღებენ ინდოეთის ფეხბურთის ეგრეთწოდებულ ეროვნულ კოლორიტად. სიცრუეა! სპორტული ფორმის შესაძენად სახსრების უქონლობა, ცხადია, ყველაზე ადვილია მონათლო ეროვნულ კოლორიტად. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ინდოელი ჩოგბურთელები ვარჯიშობენ წარმოსახვით ბადესთან, პატარა ფიცრის ნაჭრებით, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ ჩოგბურთის ნამდვილ ჩოგანთან.

ინგლისელთა და ამერიკელთა გავლენის ქვეშ მყოფ ინდოეთის რეაქციულ გაზეთებს არ უყვართ წერა ინდოეთის ეროვნული კულტურის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის დაკნინების შესახებ. ამ გაზეთების სპორტულ მიმომხილველებს ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ ინდოეთის სპორტის ბედ-იღბალი, მისი აწმყო, მისი მომავალი.

სულ სხვა დამოკიდებულებაშია სპორტთან ინდოეთის მემარცხენე პრესა. პროგრესული გაზეთები გულისწყრომით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ სპორტი ინდოეთში რჩეულთა ხვედრია, რომ სპორტული შეჯიბრებები უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენენ საქმოსნების გამდიდრების წყაროს, ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების შემდგომი გახრწნის საშუალებას.

„რატომ არა გვაქვს ჩვენ მოედნები?"—სვამს კითხვას თავის ფურცლებზე გაზეთი „კროსროუდსი" და უპასუხებს: „იმიტომ, რომ ინდოეთის მთავრობა და პროვინციათა მთავრობები მცირეოდენ ყურადღებასაც არ უთმობენ ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ განვითარებას". გაზეთი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ინდოეთის ახალგაზრდობის უმრავლესობა არ არის ჩაბმული სპორტში.

ინდოეთში ძალიან ცოტაა სტადიონები და მოედნები. მაგრამ უბედურება ისაა, რომ მათი რაოდენობა, რაც დრო გადის, სულ უფრო მცირდება. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ქალაქებზე, როგორიცაა ბომბეი, კალკუტა, მადრასი. და ამაში მცირე „ღვაწლი" როდი მიუძღვით ადგილობრივ ხელისუფალთ.

უკანასკნელ წლებში ძალიან გაიზარდა ბომბეის მოსახლეობა, იგი უკვე 4 მილიონამდე კაცს აღწევს. ქალაქში წინათ არსებობდა უშველებელი მოედანი სპორტული თამაშებისათვის — „ესპლანეიდი" ინდოელი ახალგაზრდობის ამ საყვარელ ადგილს ხალხი თავისუფლების მოედანს უწოდებდა. ამჟამად „ესპლანეიდის" ფართობის ნახევარზე მეტი მდიდრების შენობებს უკავია. სპორტსმენები, რომლებიც ქალაქის ცენტრალურ რაიონში ცხოვრობენ, იძულებული არიან სავარჯიშოდ იარონ გარეუბნებში არსებულ მეტად პრიმიტიულ მოედნებზე, ანდა საერთოდ თავი დაანებონ სპორტს.

თანამედროვე ინდოეთში ძალიან ცოტაა ადგილი სპორტნაგებობათა მშენებლობისათვის. სამაგიეროდ საკმაოდ ბევრია აქ აეროდრომები ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის თვითმფრინავების დასაშვებად, რომლებსაც ჯარის ნაწილები გადაჰყავთ კორეაში, ინდო-ჩინეთსა და მალაიაში.

რაც დრო გადის მით უფრო მცირდება იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც სპორტით მეცადინეობენ. საქმე ისაა, რომ საბავშვო სპორტული ნაგებობანი ინდოეთში სკოლის ბიუჯეტზე იმყოფება. მაგრამ ეს ბიუჯეტი იმდენად უმნიშვნელოა, რომ სახსრები მასწავლებელთა ხელფასსაც ძლივს ყოფნის.

გასაკვირი არ არის, რომ ინდოეთის სპორტი, რაც დრო გადის, მით უფრო სავალალო მდგომარეობაშივარდება. „ჩვენი სპორტის ყველა ეროვნული სახე,—წერს ცნობილი ინდოელი სპორტული მიმომხილველი მადხუ მ. ამერსი,—დაქვეითების გზას ადგას. თითქმის მთლიანად გაქრა ისეთი სპორტი, როგორიცაა ჭიდაობა, ხოლო ისეთი ცნობილი ინდოელი მოჭიდავეების სახელები, როგორიცაა გამა და გარბანს სინგი მხოლოდ მოგონებად და დარჩა. პოლოს თამაში მხოლოდ მდიდართა პრივილეგიაა, ჰოკეი კი სამუდამოდ არ ჩაკვდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გვიხდება გუნდების გამოყვანა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის. ვერაფერი ვერ ვისწავლეთ ჩვენ ფეხბურთის თამაშის მხრივაც; საერთაშორისო შეხვედრების დროს უცხოელ ფეხბურთელთა ბუცები კვლავინდებურად ტერორის ქვეშ აყენებენ ჩვენს ჰაბუკებს. სპორტული შეჯიბრებები, როგორც წესი, არაჯანსაღ ხასიათს ატარებენ, ისინი მხოლოდ ფულის მოგების მიზნით ეწყობა".

ამჟამად, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გაცხოველებით ემზადებიან ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის. ცდილობენ ამ შეჯიბრებისათვის მზადებას ინდოელი სპორტსმენებიც.



ინდოეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ბალახის ჰოკეი. ეროვნული გუნდი ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონია სპორტის ამ სახეში. **სურათზე:** ბალახის ჰოკეის თამაშის ერთ-ერთი მომენტი. თეთრ ფორმაში არიან ინდოელები.

ჰელსინკში გამგზავრებამდე ინდოელი ფეხბურთელები, მაგალითად, აპირებენ შვეციაში წასვლას და ადგილობრივ გუნდებთან შეხვედრების მოწყობას. ფრანგული გაზეთი „იუმანიტე", უკეთებს რა კომენტარს ამ ცნობას, წერს, რომ ინდოელი ფეხბურთელები საკმაოდ ხაშიში მეტოქეები არიან. „მართალია, ინდოელები ფეხშიშველა თამაშობდნენ, — წერს გაზეთი,—მაგრამ მათ დიდად გასარჯეს საფრანგეთის გუნდი წარსულ ოლიმპიურ თამაშებში".

დიდი პოპულარობით სარგებლობს ინდოეთში ჰოკეი, მაგრამ არა ჩვეულებრივი — ყინულისა, არამედ ბალახის ჰოკეი. ინდოეთის ნაკრები ოლიმპიური თამაშების არაერთგზის ჩემპიონია ბალახის ჰოკეიში. ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს ინდოელმა ჰოკეისტებმა 1948 წელს ლონდონში გამართულ ოლიმპიურ თამაშებშიც.

კარგი შედეგები აქვთ მოპოვებული სხვადასხვა დროს ცალკეულ ინდოელ მძლეოსნებსაც. ასე, მაგალითად, შარშანწინ, სიმაღლეზე მხტომელმა რაომ დაძლია 2 მეტრი.

ეჭვი არ არის, რომ ნიჭიერ და შრომისმოყვარე ინდოელ ხალხს შეუძლია და უნდა ჰყავდეს კიდეც შესანიშნავი სპორტსმენები, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ თანამედროვე პირობებში ინდოეთის ეროვნული სპორტის წარმომადგენლებს შეეძლოთ ივარაუდონ სერიოზული წარმატებები ევროპის ქვეყნების უძლიერეს გუნდებთან შეხვედრებში.

„შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, — გულისწყრომით აღნიშნავს გაზეთ „კროსროუდსის" სპორტული მიმომხილველი, — როდესაც სამასმილიონიან ინდოელ ხალხს არ ძალუძს გაგზავნოს საკმაოდ ძლიერი გუნდი ინგლისის, ავსტრალიის ანდა მალაის სპორტსმენებთან შესაჯიბრებლად. ამისათვის ჩვენში არავინ არ ზრუნავს. ჩვენ ხომ დღემდე არ მოგვეპოვება წვრთნის ერთიანი სისტემა, ჩვენ არ ვზრდით ახალ ტალანტებს სპორტში. ეს კი, პირველ ყოვლისა, უნდა აიხსნას იმით, რომ სპორტის განვითარებას არავითარი მატერიალური ხელშეწყობა არა აქვს".

თანამედროვე ინდოეთის პროგრესული საზოგადო მოღვაწეები სპორტში ხედავენ ხალხის ფიზიკური აღზრდის მძლავრ საშუალებას. ისინი სპორტს თვლიან აგრეთვე ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის, ეროვნულ და რელიგიურ უთანხმოებათა ლიკვიდაციის ერთ-ერთ საშუალებად.

ინდოელი სპორტსმენები ცხოველი ინტერესითა და დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურელთა წარმატებებს, სადაც უკვე დიდი ხანია სპორტი საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. საბჭოთა კავშირის ცხოვრება ინდოეთის ყველა პროგრესული სპორტსმენისათვის გზის მანათობელი შუქურაა.

**ტ. გარათაშვილი**

## საბჭოთა სპორტული დელეგაციის გამგზავრება ნორვეგიაში

მოსკოვიდან ოსლოს გაემგზავრა საბჭოთა სპორტული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან კ. ა. ანდრიანოვი, ა. ო. რომანოვი და პ. ა. სობოლევი.

საბჭოთა დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო კომიტეტის კონგრესის მუშაობაში.

(საქტესი).

—⊙—

## მოკლე ცნობები

**ბათუმი.** მოჭადრაკეთა საკვალიფიკაციო ტურნირში მეორე თანრიგის ნორმა შეასრულეს ა. ჩაიკოვსკაიამ, ვ. პლოტინსკიმ და სხვ.

ვ. ნადირაძე

* * *

**სუხუმი.** დამთავრდა ქალაქის მუსიკალური ტექნიკუმის პირველობის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. დაძაბულ ბრძოლაში პირველი ადგილი მოიპოვეს: ვაჟებში—I კურსის სტუდენტმა ო. გორგაძემ, ქალებში — ა. კარბამ.

ა. კორძაია

* * *

**ცხაკაია.** ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები გატაცებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეს. მათ საკუთარი ძალებითააგეს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, სადაც სისტემატურად მეცადინეობენ.

ბ. ჟვანია

* * *

**ხულო.** სოფ. ქედლების სათხილამურო ბაზაში პრაქტიკულ მეცადინეობას გადის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის 80-მდე სტუდენტი.

პ. მახვილაძე

* * *

**ოჩამჩირე.** აფხაზეთის ფიზკულტურის კომიტეტმა აქ მოაწყო მოკრივეთა საჩვენებელი გამოსვლა, რომელშიც მონაწილეობდა 16 სპორტსმენი. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია; თეატრის შენობაში, სადაც შეხვედრები მოეწყო, ხალხის ტევა არ იყო. მოწონება დაიმსახურეს ახალგაზრდა მოკრივეებმა ფ. ცეკვავამ, გ. მიქელიანმა, ლ. ჭელიძემ და სხვ.

ლ. პიმენიძე

## ახალი სპორტული ჟურნალი

### ლიტვაში გამოვიდა „სპორტასის“ პირველი ნომერი

ვილნიუსში დაიწყო ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ორგანოს—ყოველთვიური ფიზკულტურული ჟურნალის „სპორტასის“ („სპორტი“) გამოცემა.

ჟურნალის პირველი ნომერი იხსნება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პორტრეტით. მეთაური წერილი მიძღვნილია ლიტვის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ამოცანებისადმი, რომლებიც გამომდინარეობს ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებიდან.

ჟურნალში გამოქვეყნებულია მასალები საბჭოთა სპორტსმენების მსოფლიო რეკორდების შესახებ, მეთოდური წერილები მთხილამურეთა და მეციგურეთა დასახმარებლად.

ლიტვის სასოფლო სპორტული საზოგადოების ფიზკულტურელთა ცხოვრებას ჟურნალმა უძღვნა ორი გაშლილი გვერდი ფოტოილუსტრაციებით.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე მიკენასის წერილი XIX საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის შედეგებზე, მაგიდის ჩოგბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ვრცელი ანგარიში, მოთხრობა მონადირეთა ცხოვრებიდან და სხვ.

ჟურნალი „სპორტასი“ მდიდრულად არის ილუსტრირებული. მოთავსებული მრავალი ფოტოსურათი ასახავს საბჭოთა კავშირის სპორტულ ცხოვრებას.

ჟურნალი გაფორმებულია ფაქიზი გემოვნებით.

## ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა

### პიონერთა გამარჯვება

**ბათუმი.** „დინამოს“ სტადიონზე ამას წინათ გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკისა და თბომავალ „გრუზიას“ ფეხბურთელები.

თამაში დაიწყო ნორჩი სპორტსმენების მედგარი იერიშებით და მე-7 წუთზე ვ. ჯოხაძე ხსნის ანგარიშს. სტუმრები ცდილობენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამაოდ. ბურთი კიდევ ორჯერ ეხვევა მეზღვაურთა კარის ბადეში.

თამაშის მეორე ნახევარი კვლავ ნორჩ ფეხბურთელთა უპირატესობით აღინიშნა. მათ მოწინააღმდეგის კარში კიდევ ხუთი ბურთი გაიტანეს. მეზღვაურებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს და შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 8 : 1.

ნორჩმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ბ. ფროლოვი) კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს.

ნ. ვახტანგაძე

★

სლალომი სათხილამურო სპორტის მეტად რთული სახეა. ტრასის სწრაფად და უშეცდომოდ გავლა სლალომისტისაგან მოითხოვს მაღალ ოსტატობას.
**სურათზე:** სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ჯ. ყორომშვილი სლალომის ტრასაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა

★





გაცხოველებით ემზადებიან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად პოლონელი სპორტსმენები. ისინი სისტემატურად ატარებენ საწვრთნელ ვარჯიშებს და შეჯიბრებებს სათხილამურო სპორტში. **სურათზე:** პოლონელი სპორტსმენი კულია ვარჯიშობს ტრამპლინიდან ხტომაში.

## მსოფლიოს 10 უსწრაფესი მეციგურე

მოკლე დისტანციებზე ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში საუკეთესო 10 შედეგი საციგურო სპორტის ისტორიის მანძილზე მიმდინარე წლის 1 თებერვლისათვის შემდეგ სურათს იძლევა:

**500 მ.** — ი. სერგეევი (სსრ კავშირი) — 41,2, ე. გრიშინი (სსრ კავშირი) — 41,7, გ. ენგნესტანგენი (ნორვეგია) — 41,8, ს. ფარსტადი (ნორვეგია) — 41,8, ლ. ფრეიზინგერი (აშშ) — 41,9, კ. კუდრიავცევი (სსრ კავშირი) — 42,0, გ. კროგი (ნორვეგია) — 42,0, კ. ჰენრი (აშშ) — 42,1, ნ. მამონოვი (სსრ კავშირი) — 42,2, ი. იპოლიტოვი (სსრ კავშირი) — 42,2, ფ. ხოლტი (ნორვეგია) — 42,3, პ. ბელიაევი (სსრ კავშირი) — 42,4, ა. ბოტს[…] (აშშ) — 42,4.

**1.500 მ.** — ვ. ჩაიკინი (სსრ კავში[…]რი) — 2:12,9, ბ. შილკოვი (სსრ კა[…]შირი) — 2:13,8, გ. ენგნესტანგენ[…] (ნორვეგია) — 2:13,8, ს. ფარსტად[…] (ნორვეგია) — 2:13,9, ი. ბალანჰრუდ[…] (ნორვეგია) — 2:14,0, ო. სოიფარტ[…] (შვეცია) — 2:14,2, ი. გოლოვჩენკ[…] (სსრ კავშირი) — 2:14,3, მ. სტაკსრუ[…]დი (ნორვეგია) 2:14,4, ი. სერგეევ[…] (სსრ კავშირი) — 2:14,4, ვ. პრი[…]ტავკინი (სსრ კავშირი) — 2:14,4, […] პელიპენკო (სსრ კავშირი) — 2:14,[…] ლ. პუშკარიოვი (სსრ კავშირი) — 2:14,8, კ. კუდრიავცევი (სსრ კავში[…]რი) — 2:14,9.

## უცხოეთში

### ჰოლანდიური პრესა საბჭოთა მეციგურეების შესახებ

ჰოლანდიური გაზეთები ფართოდ აშუქებენ საბჭოთა მეციგურეების მაღალ მიღწევებს. 21 იანვარს გაზეთმა „ტელეგრაფმა“ მოათავსა საბჭოთა მეციგურეებისადმი მიძღვნილი სპეციალური წერილი სათაურით „რუსები აჩვენებენ ფანტასტიკურ სიჩქარეს“.

ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ მეორე წერილში ლაპარაკია ალმა-ატის მაღლობლად გაშენებულ საციგურაოზე. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ალმა-ატის მაღლობლად მდებარე საციგურაო მსოფლიოში საუკეთ[…]სოა. იგი საგრძნობლად ჯობნის ს[…]ხელგანთქმული დავოსის (შვეიცარი[…]) საციგურაოს. რუსები ბევრჯერ აუ[…]ჯობესებდნენ რეკორდებს სხვა მოედ[…]ნებზედაც, მაგრამ ალმა-ატის მაღლო[…]ლად მეციგურესათვის ნამდვილი ს[…] მოთხეა. ასეთ საციგურაოზე რუსებ[…] რასაკვირველია, ისეთ მაღალ შედ[…]გებს აჩვენებენ, რომელთა შესახ[…] დასავლეთის სპორტსმენები ვერც [ი]ოცნებებენ“.

## შვეციის ფეხბურთელთა გასტროლები

შვეციის ფეხბურთელთა უძლიერესი გუნდები თავიანთი ქვეყნის 1951-52 წწ. ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრების შემდეგ საგასტროლოდ გაემგზავრნენ.

მოგვყავს შედეგები შეხვედრებისა, რომლებიც ჩაატარეს შვედებმა გასული წლის დეკემბერში და მიმდინარე წლის იანვარში.

დიდი წარმატებით დამთავრდა კლუბ „ჰელსინბორგის“ ტურნე იაპონიის ქალაქებში. შვედებმა, რომლებმაც დაამარცხეს ქ. კიოტოს (5:0 და 3:0) და ქ. ტოკიოს (13:0) ნაკრები გუნდები, ტოკიოს კლუბი „კეი-კეი“ (7:0) და მოიგეს აგრეთვე ორი შეხვედრა ქ. ტოკიოში (5:0 და 3:0), ამომავალი მზის ქვეყანას სახსოვრად დაუტოვეს 36 „მშრალი“ ბურთი!

შვეციის ჩემპიონი „მალმე ფფ“ ჩა[…]ვიდა სტამბოლში (თურქეთი), სად[…] მინიმალური ანგარიშით 1:0 (შესვე[…]ნებამდე 0:0) დაამარცხა კლუბი „ფე[…]ნერ-ბაჩე“.

შვედებმა მოიგეს აგრეთვე შეხვედ[…]რა ქ. ტელ-ავივში „მაკაბისთან“ — 3:2.

წარუმატებლად ჩაატარეს შეხვედ[…]რები შვეციის კლუბ „დიუჰარდენის“ ფეხბურთელებმა: ქ. ტელ-ავივში (იზრაილი) „ბეიტართან“—1:1; სტამ[…]ბოლში მოიგეს „ფენერ-ბაჩესთან“ — 4:1 და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა (3:3) კლუბ „გალატა-სარაისთან“.

„ჰეტებორგი“ სინგაპურში შეხვ[…] ქალაქის ნაკრებს. მატჩი დამთავრ[…] ფრედ — 1:1.

### საფეხბურთო ჩემპიონატები

დამთავრდა ინგლისის 1951-52 წწ. საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე. პირველ ადგილზეა „პორტსმუტი“ — 30 ქულა; მას 28-28 ქულით ფეხდაფეხ მიჰყვებიან „არსენალი“ და „მანჩესტერ-იუნაიტედი“. შარშანდელი ჩემპიონი „ტოტენჰემი“ სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა.

დაძაბული ბრძოლა წარმოებს საფრანგეთის პირველობის გათამაშებაში. 21 ტურის შემდეგ წინ არის ბავრი— 29 ქულა, შემდეგ ადგილებზე არიან ლილი (28 ქულა), ბორდო (27), ნიცა (26) და მეტცი (25).

### კალათბურთელთა მატჩები

საფრანგეთის ნაკრებმა გუნდმა (ვა[…]ჟები) ამას წინათ ზედიზედ მოიგ[…] ორი საერთაშორისო შეხვედრა. ფრა[…]გმა კალათბურთელებმა დაამარცხ[…] ბელგიის ნაკრები (54:52) და იტ[…]ლიის ეროვნული გუნდი (49:38).

ბრაზილიის „ფლამენგოს“ და საფ[…]რანგეთის „რესინგის“ კალათბურ[…]თელთა შეხვედრა (პარიზში) დამთავ[…] და ბრაზილიელთა გამარჯვებ[…] — 50:39.




დიდი პოპულარობით სარგებლობს გორის რაიონის მოსწავლეთა შორის ფიზკულტურა და სპორტი. რაიონის სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაზე გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი ნ. ბერიძე, სოფ. ატენის საშუალო სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივში 160-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა საჭირო ინვენტარით, სისტემატურად მეცადინეობენ კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, მძლეოსნობის სექციები. ფიზკულტურის მასწავლებლის შ. სხირტლაძის ენერგიული მუშაობის შედეგად სკოლის ფიზკულტურელებმა მრავალჯერ მოიპოვეს პირველი ადგილი რაიონულ შეჯიბრებებში.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აგრეთვე კარალეთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი.

157 მოსწავლე ეუფლება მერეთის საშუალო სკოლაში სპორტის სხვადასხვა სახეს.

ასეთივე ინტერესით ეკიდებიან სპორტს სოფ. ძევერის სკოლის მოსწავლეები. 164 წევრიანი ფიზკულტურული კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართული ჭიდაობის, ფრენბურთის, ფეხბურთის და სხვა სექციებში.

გორის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი და რაიონის განათლების განყოფილება სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ყოველთვიურად ატარებენ ორდღიან სემინარს.

სულ სხვა სურათია თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ერტისის რვაწლიან საშუალო სკოლაში, სადაც ფიზკულტურის გაკვეთილიც კი არ ტარდება ნორმალურ პირობებში; სექციების მუშაობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. როგორც „ლელოს“ მკითხველი ვ. დვალი გვატყობინებს, სკოლას არ გააჩნია სპორტული მოედანი. ზაფხულობით მოსწავლეები სკოლიდან მოშორებით სოფლის მოედანზე წაივარჯიშებენ ხოლმე, ზამთრის პირობებში კი რადგან ეს შეუძლებელი ხდება, მოსწავლეები უმოქმედოდ სხედან და ფიზკულტურის გაკვეთილს საუბარში ატარებენ.

„ლელოს“ ერთ-ერთ ნომერში აღნიშნული იყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ფიზკულტურულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. ზესტაფონის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პ. ლეკვეიშვილი გვატყობინებს, რომ კომიტეტმა განიხილა წერილი, დასახა ღონისძიებები, რის შედეგად ქარხანაში სპორტული დარბაზი და ინვენტარი მოყვანილ იქნება სრულ წესრიგში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის ფიზკულტურის კომიტეტი გვერდს უვლის გაზეთის კრიტიკულ შენიშვნებს. მაგალითად, 1951 წ. 28 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი „საქმიანობა ჩაშლილია“, რომელიც ეხებოდა სოფ. ოდიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. რედაქციამ მიმართა სუხუმის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ა. არქანიას განეხილა აღნიშნული წერილი და მიეღოთ საჭირო ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მაგრამ რედაქციას დღემდე არავითარი პასუხი არ მიუღია ამხ. არქანიასაგან.

ასეთივე მდგომარეობაა წერილის (სათაურით „მოდი ვნახოთ... ღერძი“) გარშემო, რომელიც ეხებოდა ბორბალოს რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურული საქმიანობის ზოგიერთ მხარეს. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა თეთრი წყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ქ. ულენტს, მაგრამ პასუხი დღემდე არ ჩანს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12: დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-3[…]
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 00233